№ 168 | 1877—1900 | № 168

პარასკევი, 4 აგვისტო, 1900 წ.

# ივერია

პარასკევი, 4 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის". ტელეფონი № 2 7

## ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—6.—11)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძითა და ნაჭრობით.

(50—6.—6) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—14)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ზ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მკურნალი

## ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ახალი ამბავი

*** განზრახვა თურმე აქვთ აწ განსვენებულის მემკვიდრის გიორგი ალექსანდრეს ძის სახელზე აბასთუმანში სანატორიად იქმნეს გადაკეთებული გულით ავადმყოფთათვის.

*** სამშაბათს, 1 აგვისტოს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც უნდა მოელაპარაკნათ, თუ მომავალი 1901 წლის სასოფლო სამეურნეო გამოფენა სად, ე. ი. ტფილისის რომელს ადგილს, უნდა იქმნას გამართული. საბჭომ გამოფენისათვის დაასახელა ჯერ მუშტაიდის მახლობლად მდებარე ქალაქის სანერგე და მასთან ერთად საბაღოსნო სკოლა, მაგრამ, რადგანაც ხარჯი დიდი მოუვათ აქ,—80,000 მანეთამდე, და თითონ გამოფენაც ქალაქის განაპირად იქმნება, ამისათვის უმჯობესადა სცნეს, გამოფენისათვის სხვა უფრო მოხერხებული ადგილი იშოვონ ქალაქში. ამავე მიზეზისა გამო უარ-ჰყვეს სადოლე მოედანი, რომელიც დაშორებულიც არის და მეტს ხარჯსაც მოითხოვდა და, შემდეგ მრავალის მოსაზრებისა, ისევ ალექსანდრეს ბაღი დაასახელეს, რომელშიაც უკვე მრავალი ხე და მცენარეა დანერგილი და რომელიც მდებარეობით (ქალაქის შუა-გულ) ყველა სხვა ადგილს სჯობიან. ალექსანდრეს ბაღში გამოფენის გამართვას, კომიტეტის გამოანგარიშებით, 60,000 მან. დასჭირდება. თუ რომ კომიტეტმა ნება-რთვა მიიღო ამ ბაღში იქმნას გამართული გამოფენა, კომიტეტს განზრახვა აქვს დროებით ალექსანდრეს ქვემოთა და ზემოთა ბაღი შეაერთოს, რის გამოც მათ შუა გამავალი ლორის-მელიქოვის ქუჩა გაუქმებული იქმნება დროებით. დასასრულ კომიტეტმა განსაკუთრებული კომისსია ამოირჩია, რომელსაც მიანდო შეჰკრიბოს ყველა საჭირო ცნობანი, თუ რაოდენი ადგილი უჭირავს ბაღს, სად რა გაიმართება და სხ. გამოფენის დროს თითონ საზოგადოების შენობაც მთლად დაცლილი იქმნება, რომ წარმოდგენილი ექსპონატები დააწყონ.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. გ. წერეთელი.

*** როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, მთავრობა დიდადა სცდილობს შავის ზღვის ნაპირის დასახლებასა და საზოგადოდ აქაურის მეურნეობისა, მრეწველობისა და სხ. გაუმჯობესებას. ამ აზრით ახლა მიწათ-მოქმედების სამინისტროს შავის ზღვის პირადა და ქუთაისის გუბერნიაში გამოუგზავნია კაცი, რომელსაც დავალებული თურმე აქვს—შეიტყოს რამდენად დიდი მოთხოვნილებაა ადგილობრივს ხე-ტყეში და ეცადოს ხე-ტყის ვაჭრობა წინ წასწიოს, გარეთაც ბაზარი გაუხსნას.

*** კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის სამმართველოში ამ ჟამად ლაპარაკი თურმეა აღძრული იმის შესახებ, რომ ოლგას სახელზედ ტფილისში არსებულ საბებიო ინსტიტუტის წესდება და შტატი შეცვლილ იქმნას.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ცნობილი კაპელლა ნ. დ. სლავიანსკაიასი და საზაფხულო თეატრში რამდენსამე კონცერტს გაჰმართავს.

*** სენატმა განმარტა, რომ ის ქალაქის თანხა, რომელიც საქალაქო დებულების შემოღებამდე შესდგა 1892 წ. და რომელსაც არავითარი გარკვეული დანიშნულება არა აქვს, ქალაქის სათადარიგო თანხის შესადგენად და გასაძლიერებლად უნდა დარჩესო.

*** რუსეთის ერთს ერობას სასჯულო საქმეთა სამინისტროში პროექტი წარუდგენია იმის შესახებ, თუ ცხენის ქურდები რა რიგ უნდა იქმნენ ხოლმე დასჯილნი. ამ პროექტით, ქურდი მოვალე იქნება, რასაკვირველია, მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ, სადმე იმუშავოს და ცხენის პატრონს ზარალი უზღოს.

*** საერო განათლების სამინისტროს მოუთხოვნია საერო სკოლების დირექციებისათვის, თქვენი აზრი გვაცნობეთ, სასურველია თუ არა, რომ პირველდასაწყის სკოლებთან მოზრდილთათვის განსაკუთრებული გაკვეთილები აძლიონ ხოლმეო.

*** გზათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს რკინის გზის მსახურთ უფასო ბილეთების მაგივრად ფული მისცენ ხოლმე იმ შემთხვევაში, როდესაც ეთხოვებიან სადმე.

*** როგორც ქუთაისიდგან ატყობინებენ გაზ. „ტფ. ფ."-ს, ლეჩხუმის მაზრის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ალშიბაია სამართალში თურმე მიუციათ სამსახურში ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

*** სოფ. მარტყოფიდგან (ტფილისის მაზრა) იწერებიან: „ვენახებსა და ბაღებს აქეთ დიდი ადგილი უჭირავს და მით უფრო სამწუხაროა, რომ წელს მათი მდგომარეობა სანუგეშოს ცოტას წარმოადგენს. ღრუბლიანმა დღეებმა და ხშირმა წვიმებმა საქმე გაგვიჭირა. ვაზს, მართალია, კარგად ასხია, მაგრამ საეჭვოა, რომ ყურძენი დამწიფდეს. ხეხილს ხომ სრულებით არ ასხია.

პურის მოსავალი წელს ძალიან კარგია; მკა კიდეც გაათავეს და კალოებზედ ძნის გორები სდგას. მაგრამ იმავე ცუდმა ამინდმა, ლამის არის შესამჩნევად შეამციროს მოსალოდნელი პურის გამოსავალი; არ იქნა და ვერ ეღირსა გლეხს ისეთი მზიანი დღე, რომ გალეწვა შესძლებოდა—სულ ღრუბლიანი და წვიმიანი დღეებია.

საქონლის ჭირის გამო სოფლები შეკრულია, მისვლა-მოსვლა გაჭირდა, რაცა მეტად ავიწროებს აქეთა მხარის გლეხობას".

*** ს. ბახმარო. წელს ბახმაროში წასულს წლებთან შედარებით ერთობ ბევრი მაგარაკენი მოვიდნენ. ეხლავე ათასს სულზედ მეტია და ყოველ-დღე ემატება. თავისუფალი ოთახები სულ არ არის. ეს ათი დღეა, რაც მშვენიერი დარები იდგა და ხალხი გორაკებს დასათვალიერებლად დადიოდა. ეხლა წვიმები დაიწყო. 17 ამ თვეს აკურთხეს ახლად აგებული ასკანის წიგნთ-საცავის ბახმაროს განყოფილების სახლი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. თ. იოსებ მიხეილის ძე ნაკაშიძემ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და დიდი დახმარებაც აღუთქვა წიგნთ-საცავს. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სიმონ გრიანოვმაც. წიგნთ-საცავს საკმაო ჟურნალ-გაზეთები მოსდის, რომელიც თავ-თავისს დროზედ იგზავნება ოზურგეთიდგან.

*** გუშინ, 3 აგვისტოს, პოლიციის მეხუთე ნაწილის ბოქაულმა მისწერა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინეთ, რომ ეკსარხოსის მოედანი იქ უალაგო ალაგას დაყრილ ქვასა და ნაგვისაგან გაწმენდილ იქმნეს, რადგანაც მეტად უჭირთ ეტლებს მიმოსვლაო.

*** ოთხშაბათს, 2 აგვისტოს, საღამოს 6 საათზედ პოლიციის მე-8 ნაწილში ტფილისის გუბერნიის სოფ. საგარეჯოს მცხოვრები ანტონ დავითის ძე ფურცელაძე, 15 წლისა, სიმთვრალის დროს წასულა რიყის ქუჩაზედ, საიდგანაც შეუხვევია ბექანოვის წისქვილში და იქ დაუძინია. ძილის დროს ფურცელაძე გადავარდნილა მტკვარში, რომელიც მალე შეუტყვია იქვე მდგომ ტფილისის მოქალაქეს ემელიან სერგეევს, მიშველებია და დახრჩობისაგან გადაურჩენია.

*** ოთხშაბათს, 2 აგვისტოს, პოლიციის მესამე ნაწილში „იუჟნი ნომრებში" დროებითად ჩამომხტარმა სპარსეთის ქვეშევრდომმა სტეფანე მანასარიანმა განაცხადა, რომ ნაშუადღევის 4 საათსა და 15 წუთზედ, როდესაც ნომრიდგან ათიოდე წუთით გამოვედი და ამიტომ დაუკეტელი დამრჩა, შესულა ვიღაც და ჩემის საწოლის ბალიშ ქვეშიდგან 117 მან. აუღიაო. მანასარიანმა ეჭვი განაცხადა ამ ნომრების მოსამსახურე სოლომონ ჩხაიძეზედ, რომელიც მანასარიანს ვითომც დაბრუნების დროს იქვე ახლო შეუნიშნავს და რომელიც შეჩნევის დროს დამალულა. გამოძიება სწარმოებს.

## ჭიათურის შავიქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

28 ივლისი, საღამო.

თავმჯდომარემ წაიკითხა ტელეგრამმა, რომელიც გაეგზავნა სამთო დეპარტამენტში მინისტრისათვის წარსადგენად. შემდეგ მდივანმა წაიკითხა წინა დღის ოქმი, რომელიც მცირედის ცვლილებით დაამტკიცა კრებამ.

თავმჯდომარემ პირველ საკამათო საგნად დაასახელა პროგრამმის მეექვსე საგანი: „შორაპნის შავი-ქვის მადნებზედ მთავრობის მიერ განწესებულ შტეიგერთათვის დანიშვნა დამატებითის ჯამაგირისა მადნებში სამსახურისათვის თითოეულ ხუთ

წლიწადისათვის 100 მანეთი. თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ სამთო წესდების მე-109 მუხ. შენიშვნის ძალით ემატებათ ხუთი წლის სამსახურისათვის 100 მანეთი სამთო ზედამხედველებს და არა შტეიგერებს, მაგრამ, ვინაიდგან შტეიგერების თანამდებობა შორაპნის მაზრაში ემსგავსება ზემოხსენებულ ზედამხედველის თანამდებობას, შეიძლება კრებამ იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რომ კანონიერის წესით ამათაც მიემატოს ხოლმე ჯამაგირი.

ზდანოვიჩი გ. ფ. ეს საგანი მოთავსებულია პროგრამაში სამინისტროს განკარგულებით და მე საუმჯობესოდ მიმაჩნია მისი განხილვა მაშინ, როცა ბაასი გვექნება შტეიგერთა საქმეში შემოღებულ ცვლილებათა შესახებ.

კრება დაეთანხმა ბ-ნ ზდანოვიჩის აზრს.

შემდეგ, კრების თავმჯდომარის წინადადების თანახმად, კრებამ ბაასი გამართა ს. ჭიათურას „პოსადად“ გადაქცევისა და მცირე თვით-მართველობის დაწესების შესახებ.

ზდანოვიჩი გ. ფ. ამ საქმის ისტორია ასეთი გახლავთ: მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო მინისტრის მოსვლის დროს შავის ქვის მრეწველთა ერთმა ნაწილმა მიჰმართა და სთხოვა, რომ დაწესებულიყო შავი-ქვის მრეწველთა კრება, ხოლო მეორე ნაწილმა სთხოვა იმავე მინისტრს ს. ჭიათურა გადაკეთებულიყო „პოსადად“ და შემოკლებული თვით-მმართველობა შემოღებულიყო. ეს თხოვნა გადაცემულ იქმნა საგუბერნიო მმართველობაში, რომელიც ამ საგნის შესახებ გარდაწყვეტილს დასკვნას ჯერ არ დასდგომია. შემდეგ იგივე საკითხი აღიძრა შავი-ქვის მრეწველთა მეორე მორიგს კრებაზე, მაგრამ განსაზღვრული დადგენილება ამ საგნის შესახებ არც აქ მოხდა. ბოლოს, 1898 წლის გასულს, კრების საბჭომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მიართვა მოხსენება და ამ მოხსენებაში, სხვათა შორის, სთხოვდა შემოკლებულ თვით-მართველობის დაწესებას ს. ჭიათურაში. ბ-ნმა გუბერნატორმა ინება განსაკუთრებულის კომისიის დანიშვნა და ამ კომისიის თავჯდომარედ დაინიშნა ნ. პ. პრინცი. მაგრამ კომისია თითქმის ერთხმად იმ გარდაწყვეტილებას დაადგა, რომ, ვინაიდგან ს. ჭიათურაში მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი ძალიან მცირეა, თვით-მართველობის დაწესება იქ შეუძლებელიაო.

ნ. პ. პრინცი. ს. ჭიათურაში 450 კომლია და ესენიც მუდმივი ბინადრები არ არიან. სოფელი გაგრძელებულია ვიწრო ხეობაში და ეს გარემოება ხელს უშლის მის გაზრდას. სავაჭრო დაწესებულებათ დროებითი ხასიათი აქვთ და თუ მეხანიკური გზები გაიმართა, როგორც ამას კრების საბჭო აპირობს, ყველა ეს სავაჭრო დაწესებულებანი გადატანილ იქმნება მადნების ახლო. ამ მიზეზთა გამო შუამდგომლობა მრეწველთა არ იქმნა დაკმაყოფილებული.

ქავრიანი ს. ა. მართალია ტოპოგრაფიული მდებარეობა ს. ჭიათურასი ეწინააღმდეგება ჩვენს შუამდგომლობას, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ შავი-ქვის მრეწველობა თანდათან იზრდება და ამ ზრდასთან ჰმატულობს მცხოვრებთა რიცხვიც, ამასთან ს. ჭიათურა ახლა წარმოადგენს მივარდნილ სოფელს, მოკლებულს ყოველ გვარ სანიტარულ ზედამხედველობას, ამის გამო ვფიქრობ, რომ ფრიად საჭიროა მისი პოსადად გადაკეთება.

ცეიტლინი ა. გ. (ოლქის სამთო ინჟინერი). სანიტარულს ზედამხედველობას ადვილად გაუწევს ადმინისტრაციაც, ასე რომ ამ მხრივ მაინცა და მაინც საჭირო არ არის პოსადად გადაკეთება.

ზდანოვიჩი გ. ფ. თუმცა მეც თითონ ამ კომისიის წევრად ვიყავი, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ კომისიის დადგენილება სამართლიანი იყოს. საშუალების მხრივ არავითარი დაბრკოლება არ უნდა დახვდეს ამ საქმეს, რადგან ხარჯი დიდი არ მოუნდება; უმეტესი ნაწილი ამ ხარჯისა უკვე გასწია და კიდევ გასწევს საბჭო კრებისა. პოლიცია ახლაც კრების ხარჯით ინახება, სამკურნალო დაარსება აგრეთვე ამ ხარჯით, საბჭოს ხელშია სანიტარული ზედამხედველობაც; ამ გვარად პოსადის მმართველობას დიდის ხარჯის მოხდენა არ დასჭირდება. თუ ადმინისტრაცია ჰხედავს დაბრკოლებას მარტო ფინანსების მხრივ, მე იმ აზრისა ვარ, რომ კიდევ აღვძრათ ამ საგნის გამო შუამდგომლობა.

კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს სადაც რიგია.

შემდეგ კრებამ დაიწყო მეთორმეტე საგნის განხილვა, ე. ი. შავი-ქვის მადნის ამოღებისა და გაზიდვის შესახებ „სტატისტიკურ ცნობათა შეკრების გამო“.

ზდანოვიჩი გ. ფ. ამ საგნის შესახებ საბჭოს არ წარმოუდგენია თავისი მოხსენება, მაგრამ მას დაბეჭდილი აქვს ცალკე წიგნაკი, სადაც დაწვრილებით არის აღნიშნული ცნობანი, თუ რამდენი ფუთი შავი-ქვა არის მადნებიდგან ამოღებული და რა მდგომარეობაშია იქ ეს საქმე. საზღვარ-გარეთ საბჭოს ჰყავს საკუთარი აგენტი, რომელიც გვიგზავნის ცნობებს შავი ქვის ფასების შესახებ და რა მდგომარეობაშია შავი ქვის საქმე სხვა და სხვა ქვეყანაში. მართალია, ზოგიერთი ცნობები ჩვენის მრეწველების შესახებ არ მოიპოვება ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნაკში, მაგრამ ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ საბჭოს არ აქვს სტატისტიკური ბიურო. ამისთანა ბიუროები არსებობს ყველგან, სადაც-კი მრეწველობას მიუღია ისეთი სახე, როგორც ჩვენშია ახლა. საბჭო სთხოვს კრებას ამისთანა ბიუროს დაარსებას.

ამ აზრს ეთანხმება ბ-ნი სამთო ინჟინერი ცეიტლინიც.

კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა დაარსება ამისთანა ბიუროსი.

სხდომა შეწყვეტილ იქმნა ხუთის წამით.

შემდეგ კრება შეუდგა მეთუთხმეტე საგნის განხილვას: ე. ი. „საპენსიო კასსის ანუ მუშათა დამზღვევ საზოგადოების დაწესებისა და საერთოდ შავი ქვის მადნებში მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღების შესახებ“.

თავმჯდომარე კრებისა. მადნებში მუშაობის დროს ხშირად მოხდება ხოლმე უბედური შემთხვევა. ამის გამო ძალიან სასურველი და სასარგებლოა მუშების დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან, რომ ოჯახობა დაღუპულ მუშისა, ან თითონ დასახიჩრებული მუშა უზრუნველ იყოს მომავალში. კერძოდ თითეულის მრეწველისათვის ძნელია უზღოს მუშას ან მისს ოჯახობას ის ზარალი, რომელიც ან სიკვდილის, ან დასახიჩრების გამო მოუხდება. სხვაგან ამისთანა შემთხვევაში მრეწველები ადგენენ თანხას, საიდგანაც შემწეობა ეძლევათ დაზარალებულ მუშებს. ამისთანა წესი აქ არ გამოდგება, რადგან აქ უმეტესი ნაწილი მრეწველთა შეძლებული არ არის. უნდა მივმართოთ იმ ჯამს, რომელიც შედგენილია ნახევარ-კაპეიკიან შემოსავლიდგან. ამ საგნის შესახებ საბჭოს შეუდგენია მოხსენება. მე გირჩევთ ამ მოხსენების მოსმენას და გარჩევას შევუდგეთ მაშინ, როცა სავადმყოფოს კასსის დაარსების შესახებ გვექნება სჯა. სამკურნალოს კასსას ის აზრი აქვს, რომ მისცეს შემწეობა ავადმყოფ მუშას, ან მისს გაჭირვებულ ოჯახს. ამ საგნის შესახები ნორმალური წესდება უკვე შედგენილია სამინისტროსაგან, მაგრამ ვინაიდგან იმ წესდებაში მიღებული არ არის მხედველობაში ადგილობრივი ვითარება, ამის გამო იგი ჰსაჭიროებს დამტკიცებასა და შეცვლას.

ზდანოვიჩი გ. ფ. კითხულობს ვრცელს მოხსენებას მუშათა დაზღვევის შესახებ.

თავმჯდომარე. მე მინდა ცოტაოდენი შენიშვნა შევიტანო ბ-ნ ზდანოვიჩის მოხსენებაში. საბჭოს არ შეუძლიან სისხლის სამართალში მისცეს ის მრეწველი, რომელიც დროზედ არ აცნობებს საბჭოს უბედურს შემთხვევას, რომელიც მოხდა მის მადანში.

ქავრიანი ს. ა. მე თანახმა ვარ ბ-ნ თავმჯდომარის აზრისა; საკმაოდ მიმაჩნია მარტო სამოქალაქო სამართალში მიეცეს ის მრეწველი, რომელიც დაარღვევს ამ პირობას.

ბაქრაძე გ. დ. თუ შესაძლებელია და მოხერხდება დასაზღვევი ჯამი თვითონ ჩვენ, მრეწველებმა, საკუთარის საშუალებით შევადგინოთ. დამზღვევ საზოგადოებას თავისი საკუთარი ინტერესი აქვს, როცა დაზღვევას გვპირდება. უმჯობესი იქნება, რომ ჩვენის საშუალებით გავუძღვეთ ამ საქმეს.

ნიჟარაძე თ. ი. ჩვენ არა გვყავს მუდმივი მუშები ჭიათურაში. მოვა მუშა ერთის კვირით, ან ორის, აიღებს და წავა. შემდეგ სხვა მოდის. თუ ყველა ესენი დაიზღვევა, დიდძალი ფული დაგვეჭირდება.

ზდანოვიჩი გ. ფ. დამზღვევ საზოგადოებას საქმე აქვს მუშების შემოსავალთან და ამ შემოსავლის მიხედვით იღებს დასაზღვევს ჯამს. თითოეულ მუშასთან ცალკე არავითარი საქმე არა აქვს.

კრება ერთხმად იწყნარებს ბ-ნ ზდანოვიჩის მოხსენებას მუშების დაზღვევის შესახებ.

# ფელეტონი

## მიმოხილვა

### წარმართ ივერთა სარწმუნოებისა

(შემდეგი *)

ფარნავაზ პირველ მეფემდი (III საუკ. ქრ. წინ), რომელმაც საფუძველი დაუდო ჩვენს მოქალაქობრივ და ერად ცხოვრებას, მოგვობას ანუ ცეცხლის თაყვანის-ცემას გავლენა ჰქონდა ქართველთ სარწმუნოებაზე მხოლოდ ორის გზით: პირველი იყო ცეცხლის თაყვანისმცემელ ახალმოშენეთა გადმოსახლება ჩვენს ქვეყანაში და მეორე—აღებ-მიცემის განზრახვით მიმოსვლა სპარსეთსა და საქართველოს შორის. მაგრამ ფარნავაზ მეფემან რაკი ბერძნები განდევნა ივერიიდგან, მყისვე სპარსეთით დაიბარა მოგვნი ზოროასტრის სარწმუნოების დასამყარებლად უფრო მტკიცე საფუძველზედ და ტაძარი ააგებინა ორმუზდის ანუ ჩვენებურის არმაზის პატივსაცემლად. ეს ტაძარი იყო მცხეთის პირდაპირ მტკვრის გაღმა, მაღალ მთაზედ, სადაც ციხე იდგა გმირის ქართლოსისა და ეხლაც მოსჩანს რამდენიმე პატარა ბურჯი. მას აქეთ იმ მთას დაერქვა არმაზის მთა. იქ, მთებ შუა, როგორც ჰმოწმობს თეიმურაზ ბატონიშვილი, დიდი ქვა სძევს ფრიად რგვლად და ბრტყლად გათლილი, რომელიც საკურთხევლად თურმე ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ზედა სწირავდნენ არმაზსა რჩეულ ცხვრებსა და საქონელს. არმაზის თაყვანის ცემა შემოუღიათ ფარნავაზს პატივ-საცემლად თავისის დედისა, რომელიც სპარსთა ბატონის ასული ყოფილა და მიტომაც აგრეთვე, რომ თითონ მას იმ ღმერთის სახელი რქმევია. არმაზის ძეგლი იდგა ტაძარში, ქართლის საფლავზედ გაც და გაიმ ღმერთთა შორის, აზო პატრიკმა რო შემოიღო. არმაზი ისე, როგორც სპარსთა ორმუზდი, წარმოადგენდა ნათელსა და ღმერთთა ღმერთად ითვლებოდა, თუმც საერო ღმერთი ბოჩიც პატივცემულ იყო უმანდელებრ. ამის მიზეზი-კი ის იყო, რომ ბოჩიც ისე, როგორც არმაზი, ნათელს მოასწავებდა. არმაზის დღესასწაულის დროს, რასაც დაესწრო წმ. მოციქულთასწორი ნინო ქართველთ განმანათლებელი (V საუკ. ქრ. აქეთ), არმაზის მთა მოფენილი იყო ხალხითა, რომელიც არმაზ ღმერთს ფერხულით გარს უვლიდა „არალეს“ გალობით და დროშებითა და ყვავილებით ამკობდა. საყვირთა ხმა რო მოისმა და იხილა საშინელი ზარი თავმოყრილ ქურუმთა, რომელნიც მირიან მეფის მობრძანებას ელოდნენ, წმ. ნინომ მოიწადინა ამბის შეტყობა და ჰკითხა გვერდით მდგარ ებრაელ ქალს: „რაი არს ესე?“ ქალმა მიუგო „ღმერთი ღმერთთა არმაზ უწესს მათ წინაშე მისსა აღსვლად, რომლისა მსგავს არა არს სხვა კერპიო“. შიში და ძრწოლა იმ დღისა ყველას თავზარსა სცემდა, მაგრამ შთაბეჭდილება, რომელსაც სპილენძის კაცი ჰსტოვებდა ბრბოზედ, ყველაფერს აღემატებოდა. ის სპილენძის კაცი თითონ არმაზ ღმერთი იყო. ტანს ეცვა ოქროს ჯაჭვი, თავს ეხურა ოქროს ჩაფხუტი, სამხრენი და თვალები ზურმუხტისა და ბივრიტის ჰქონდა. ითრუჯან, ქალდეველთა ღმერთის მოსისხარ მტერს ხელს ეპყრა ელვარე და ბრწყინვალე ხმალი, რომელიც ტრიალებდა, რათა სიკვდილის შიშით არვინ მიჰკარებოდა. ყოველი ვისაც ჰსურდა მიახლოვებოდა, მოვალე იყო წარმოეთქვა: „ჲ ჩემდა უკეთუ დასამევაკლე დიდებასა დიდისა ამის ღვთისა არმაზისასა ანუ შესამევსცეთ სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენასა, ოდენ დამიხვეულ-იყო მზისა მსახურთასა და მათსა, რომელნი იტყვიან უმეცრებით დიდსა ვისმე ღმერთსა და ძესა ღუთისა ზეცათასა და იპოვოს, თუ რაჲმე ესე ვითარი ბიწი დამცეს მე მახვილი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქვეყანასა“. ამ ფიცს რომ იტყოდა, წარმართ მლოცველსა ემართლებოდა არმაზის მიახლოვება თაყვანსაცემლად.

არმაზ ღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ ყოველ წმინდა მფრინველსა, ქათმებს გარდა, ყოველგვარ ხილს, კიპრუჭსა და შოთებს გამტკიცულის ფქვილისაგან დამცხვარსა ადამიანის ხელის სახედ, რათა არმაზს ანუ შოთას, როგორათაც მას უწოდებდნენ აგრეთვე, სხვერპლის შემწირველთათვის მიენიჭებინა ხელი ძლიერი და მახვილი ბასრი. სწირავდნენ ამას გარდა გუნდრუკსა, სურნელოვან ყვავილებს, ძველსა და ახალ ღვინოსა და დიდრონ ცვილის კელაპტრებს, რომელსაც დაუნთებდნენ ხოლმე ნიშნად, რომ იგი ნათლისაგან იყო შობილი. ხართა და ბატკანთ შეწირვა შემოღებულ იქმნა შემდგომ და კაცთა ზორვის მაგიერ, რომელიც, მემატიანეთა თქმით, მოსპო რევ მართალმა. მაგრამ ამგვარი მსხვერპლი, თეიმურაზ ბატონიშვილის აზრით, თავის დღეში არ სცოდნია საქართველოს, ვინაიდგან წარმართ ქართველებს, როგორც იგი ამბობს, ბავშვები მიჰყავდათ მხოლოდ ქურუმებთან, რომელნიც ზოროასტრის სარწმუნოებასა და სჯულს ასწავლიდნენო.

ამის გამო საჭიროდ მივვაჩნია ვსთქვათ, რომ ადამიანის ზორვა ძველადგანვე იყო შემოღებული. ისრაელთა მამათ-მთავარი აბრაამ ის-ის იყო დაემზადა ერთად-ერთის შვილის ისააკის მსხვერპლად შეწირვას, რომ უცბად ბრძანება მიიღო უფლისაგან ხელი არ მიეტანა ყრმაზედ. ისტორიიდგან ცნობილია, რომ პუნიკის ომის დროს კანართან დამარცხებით თავზარდაცემულმა რომამ ქურუმმთავარს ასრულებინა წესი ადამიანის ზორვისა, ჩვენებური თქმულებაა, ვითომც სურამის ციხის კედლები, შენების დროს, ყოველთვის ინგრეოდა, ვიდრე საძირკველში არ ჩაკირწყლეს პატარა ზურაბ. მაშინ მხოლოდ შესაძლო გახდა დასრულება ციხისა, რომელსაც მასუკან უბედური დედა ჰნახულობდა მოთქმით მტირალი: „სურამისა ციხეო, მშვიდობითა გნახეო, ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო“. სხვა ამგვარივე ზღაპრული თქმულება შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა, მაგრამ, რაც მაგალითად მოვიყვანეთ, ისიც საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ღმერთთა საამებლად იცოდნენ ძველმა ხალხებმა, და მათ შორის, ქართველებმაც.

პეტრე მირიანაშვილი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების სხდომა რამდენიმე წამით შეჩერებულ იქმნა.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** დეპეშებიდგან უკვე ვიწყით, რომ მოკავშირეთა ჯარმა დაამარცხა ჩინელები პეიძანთან. პეიძანი პატარა სოფელია, ტიან-ძინიდგან 12 ვერსის მანძილზედ მდებარეობს და პირველი სადგურია პეკინისკენ მიმავალ რკინის გზისა. პეიძანის შემდეგ მოკავშირეთ იანძუნი აიღეს, რომელიც პეიძანიდგან 18 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. ბრძოლა 23 ივლისს, დილის 3 საათზედ დაიწყო, გადმოგვცემს „Daily Express“-ის კორესპონდენტი. პირველად ყუმბარები ინგლისელებმა, რუსებმა და იაპონელებმა დაუშინეს ჩინელების სიმაგრეებს. მალე ისე მოუხშირეს ყუმბარები, რომ 10 საათზედ ჩინელებმა თავი მიანებეს თავიანთ პირველ სიმაგრეს მდინარის აღმოსავლეთით. მტერი არ დაშლილა და დარაზმულმა დაიწია უკან, ამასთან ორის საათის განმავლობაში თავიანთის ზარბაზნებითა და თოფებით დიდი ზარალი მიაყენეს მოკავშირეთ. როდესაც ხიდს გადავიდნენ, ჩინელებმა ააფეთქეს იგი. მაშინ იაპონელთა ძლიერი რაზმი მდინარეს გავიდა და უკან დაედევნა მტერს. მდინარეს გასვლის დროს საოცარ ცეცხლქვეშ იმყოფებოდნენ იაპონელები, ზარბაზნები ჩინელებს ერთს წუთს არ შეუჩერებიათ და ყუმბარებს განუწყვეტლივ ესროდნენ წყალში მყოფ იაპონელებს. მაგრამ გასცდა თუ არა მდინარეს, იაპონელთა რაზმმა საოცარის სიმამაცით მიიტანა იერიში და როდესაც სხვებიც მიეშველნენ, უკუ აქცია მტერი. მოკავშირეთ 800—1000 კაცამდე დაჰკარგეს. დიდი ზარალი განსაკუთრებით იაპონელებს მოუვიდათ. როდესაც ევროპიელებმა ჩინელების პოზიციები დაათვალიერეს პეიძანში, ძალიან გაჰკვირდნენ: თხრილები და საზოგადოდ სიმაგრეები ისე იყო მოწყობილი და გამართული, როგორც ამას სამხედრო მეცნიერება და ახლანდელი სამხედრო ტეხნიკა მოითხოვს. ამ ბრძოლაში მოკავშირენი უფრო ბევრნი ყოფილან, ვიდრე ჩინელები. ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტები ერთხმად ამბობენ, რომ ჩინელები მამაცად და მოხერხებით იბრძვიანო.

— გუშინა გწერდით, რომ ტიან-ძინში მოკავშირეთ 6000 ჯარის-კაცი დასტოვესო. ახლა „Milit“-ი გადმოგვცემს, რომ ტიან-ძინში სულ 15,605 ჯარის-კაციაო. პეკინისკენ მიმავალი ჯარი-კი 30,000 კაცისაგან შესდგება, აქედგან 16,000 იაპონელია და 10,000 რუსი. ზარბაზნები აქვთ 114. სექტემბრის შუა რიცხვებამდე მოკავშირეთა ჯარი 78,000 კაცამდე იქმნება აყვანილი.

— „Daily Express“-ს იოკაგამიდგან ატყობინებენ, რომ ჩრდილოეთიდგან პეკინისაკენ მიდის რუსეთ-იაპონიის ძლიერი რაზმიო. ამ ამბავს დღემდის საიდუმლოდ ინახავდნენ, რადგანაც ჰფიქრობენ მოულოდნელად დაეცნენ პეკინსაო.

— როგორც „Daily Mail“-ს ატყობინებენ შანხაიდგან, პეკინში მუნგლი იამენის ორას წევრის გარდა სიკვდილით ხუთი სხვა უმაღლესი მოხელეც დაუსჯიათ. კორესპონდენტი ამბობს, რომ გაცემულ იქმნა ბრძანება გუბერნატორის შენგისა და ხანკოუსა და ნანკინის ვიცე-კოროლების დასჯის შესახებ. ეს ამბავი ეხლა უფრო იმიტომ საჯეროა, რომ შენგი და ლიხუნგ-ჩანგი ამ ბოლოს დროს დიდ საგონებელსა და ფიქრს მიეცნენ. მეორე გაზეთს „Morning Post“-ს სწერენ: „ლიხუნგ-ჩანგმა, გაჰკიცხა-რა პეკინის მთავრობის წინაშე ლიპინხენი (ლიპინხენმა ამ ბოლოს დროს დიდი გავლენა მოიპოვა ჩინეთში), შეუდგა დიდის ხნის გადაწყვეტილების განხორციელებას: გადაუდგეს მანჯურიის დინასტიას და იმპერატორად თავისი კანდიდატურა წამოაყენოს. სხვათა შორის ამით აიხსნება ისიც, რომ ლიხუნგ-ჩანგს პეკინში არაფრის გულისათვის არ უნდა წასვლა. ლი უცდის ჩინეთის ჯარის დამარცხებას და იმპერატრისა და იმპერატორის პეკინიდგან გაქცევას. როდესაც ევროპიელნი ამას იზამენ, ლიხუნგ-ჩანგი მაშინ მოჰკრეფავს თავის მომხრეებს, იმათ შემწეობით სრულიად განდევნის ჩინეთიდგან მანჯურიის დინასტიას და თავს იმპერატორად გამოაცხადებს. სამხრეთ პროვინციების ვიცე-კოროლები უკვე მიემხრნენ ლი-ხუნგ-ჩანგს. იმასი მხარი უჭირავთ აგრეთვე ვაშინგტონსა, პარიჟსა, ლონდონსა, ბერლინსა და პეტერბურგში მყოფ ჩინეთის ელჩებს. ამ ელჩებმა სახელმწიფოების წინაშე ნიადაგი უკვე მოამზადეს და იმედი აქვთ, რომ ლი-ხუნგ-ჩანგის განზრახვას წინ არავინ აღუდგება“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად პარიჟის პოლიციამ დააპატიმრა ქურდების მთელი ბრბო, რომელსაც ვინმე ოგიუსტ ფერრო წინამძღოლობდა და მეთაურობდა. ოგიუსტ ფერრო მდიდარის ვაჭრის შვილია. მამამ დიდ-ძალი ქონება დაუტოვა და მშვენიერი ვილლა პარიჟის მახლობლად. მაგრამ ახალგაზდა კაცს მშვიდობიანი ცხოვრება არ აკმაყოფილებდა. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს მოჰკრიბა თავზედ ხელ-აღებული ყმაწვილი კაცები, მაწანწალები და ქურდები და ძარცვა-გლეჯას შეუდგა. როდესაც ჟანდარმები გარს შემოერტყნენ ყაჩაღებს, მათი წინამძღოლი ფერრო თავ-გამოდებით იცავდა ამხანაგებს ისე რომ სულ შემოეგლიჯა თურმე მშვენიერი ძვირფასი ტანისამოსი (ფერრო ყაჩაღობის დროსაც-კი უკანასკნელ მოდაზედ იცვავდა). კამმისართან ფერროს უთქვამს. „მე მდიდარი კაცი ვარ, მაგრამ უქმად ყოფნა არ მიყვარს. ხოლო რადგანაც ქურდის ხელობა ძალიან მომწონს, ამ საქმეს მივყევი ხელი. ამასთან გატყობინებთ, რომ ამ ხელობას არაოდეს არ გავანებებ თავს. ჯერ-ჯერობით მაინც მოუხდა ფერროს ამ ხელობისათვის თავის განებება, რადგანაც რამდენისამე თვით საპყრობილეში ჩასვეს.

* * *

იტალიური გაზეთები სავსეა განსვენებულის მეფის ჰუმბერტოს ამბებით. იგონებენ იმის წარსულს ცხოვრებას და თითქმის ყველანი, მიმართულების გაურჩევლად, ერთნაირად შეაქებენ. სხვათა შორის შემდეგ ამბავს გადმოგვცემენ. როდესაც ამ რამდენისამე წლის წინად ნეაპოლის მახლობლად საშინელი მიწის-ძვრა მოხდა, ჰუმბერტოს მაშინვე აცნობეს, რომ მიწის-ძვრისაგან 2000 ოჯახი დარჩა ულუკმა-პუროდაო. მეფე და დედოფალი ნახევარის საათის შემდეგ გაემართნენ იმ ადგილისაკენ, სადაც უბედურება მოხდა. მეფემ დაიარა დაშავებულთა ფარდულები და ყველას ნუგეშს აძლევდა. როდესაც კრისპიმ გამოუცხადა მეფეს, სახელმწიფოში ხელის მოწერა უნდა გავმართოთ შემოწირულების შესაკრებად დაზარალებულთა სასარგებლოდაო, ჰუმბერტომ უთხრა: „თანახმა ვარ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთად-ერთი ხელის მომწერლად „დაზარალებულთა სასარგებლოდ მეფე ჰუმბერტო I იყოსო, მეფემ მაშინ თავის საკუთარის ქონებიდგან 200,000 ლირი შესწირა დაზარალებულთ.

1886 წელს იტალიაში ხოლერა გაჩნდა. ხალხი ისე დაფთხა, რომ აღარ იცოდა, სად წასულიყო და სად დაჰმალოდა საშინელ სენს: ზოგი გორებში იმალებოდა, ზოგი უდაბნოებში და ზოგი კიდევ ვინ იცის სად. მეფე ჰუმბერტო ნეაპოლში წავიდა, იქ, სადაც ყველაზედ უფრო ძალიან მძვინვარებდა ხოლერა. ხშირად დადიოდა თავშესაფარებში და ათვალიერებდა იქ ავადმყოფთ. როდესაც ერთმა მინისტრმა შენიშნა მეფეს, საშიშოა, შეიძლება სენი გადაგედოთო, მეფემ უთხრა: „ყველაზედ ცუდი გადამდები სენი ის არის, როდესაც კაცი თავისს სამშობლოს უბედურებას გულ-გრილად უყურებს. არ მინდა ასეთი სენი შემხვდესო“.

* * *

ამერიკულ გაზეთების სიტყვით, ამას წინად ნიუ-იორკში ბალზედ ერთ ქალს უცნაური ტანისამოსი ეცვა: მთლად ეს ტანისამოსი სხვა და სხვა სახელმწიფოს ქაღალდის ფულისაგან ყოფილა შეკერილი. ტანისამოსი მეტად ძვირად დამჯდარა—40,000 ფრანკად, თუმცა ლაზათი და შნო არავითარი არა ჰქონია. ქალს დიდი დრო და შრომა უხმარია ამ სხვა და სხვა ქვეყნის ფულის შესაკრებად.

## ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ს. ბაზალეთში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ)

ყაჩაღი ციფო.

ბიჭი ციფო დაიბადა
კარგი საეტლო [1]) დაჰყვესა,
დედ-მამა იმას იძახის:
— ღმერთი მოგვიმართავს ხელსა;
ცოცხლები ვართ—შეგვინახავს,
მკვდრები ვართ—დაგვმარხავს ესა!
შვიდი წლისა რომ შეიქნა,
ცხენთ მხედრობას დაიწყებსა;
მისი გავლა და გამოვლა
სულ უკვირდათ თავადებსა.
ქალაქშიაც ჩაიყვანეს,
სკოლაში გამოზარდესა,
ამ დასაქცევმა სომხებმა
ქურდობა დააბრალესა!..
ქალაქს მთავარ-მართებელი
ხემწიფეს წიგნებსა სწერსა:
—აქ რომ ბიჭი გაიზარდა
ძრიელ თული [2]) გამოდგესა:
დუქნები ბევრი გასტეხა,
ხაზინასაც წაჰყოფს ხელსა.
მეტად ყოჩაღი რამ არის,
აღარ ეპოვება მტერსა;
ჩვენ აქ დალრჩობას უპირობთ,
რას გვიბრძანებ ახლა შენცა?!.
—მანდ დახრჩობა არ იქნება
უნდა ერთი ვნახო მეცა!
დაიჭირეს ბიჭი ციფო,
ნაობახტში ჩააგდესა,
ბორკილები გაუკეთეს,
ხელნი უკან გაუკრესა,
განა მარტო ციფო იყო,
ორი სხვაც გვერდს მოუსვესა!
საციმბიროდ გაამზადეს,
ყარაული დაუდგესა.
ზევითკენ წამოიყვანეს,
ღმერთი მოუმართავს ხელსა!..
მცხეთაში რომ მოიყვანეს,
ციფო სანთლებს აანთებსა;
მისაქციელს [3]) რომ მოვიდნენ,
ციფო პირჯვარს დაიწერსა.
—მე ხომ მკარგვენ ამ ცოდვილსა,
მადლობა ჩვენს მეუფესა!
შაბაშვილის დუქანშია
უჯავრელად ღვინო სვესა;
იმდენას თვითონ არა სვამს,
რომ ასმევდა სალდათებსა.
სალდათებმა დაიძინეს...
ციფო ამტვრევს ბორკილებსა,
გადმოფრინდა ბიჭი ციფო,
სალდათებიც გადმოჰყვესა.
რომელიც იქ დაიჭირეს,
თავში სცემენ კონდახებსა.
ბიჭმა ციფომ მიიხედა:
—ვაი დედი ჩემის ღმერთსა!
დიდად ჩაეჭრა ჯავრადა,
გულის პირზედ იცემს ხელსა.
ტირიან ამხანაგები,
გადმოჰღვრიან ცხარე ცრემლსა.
მისაქციელს ზემოდგანა
რაღაც ერთი ქედი სთქვესა,
გამოიქცა ბიჭი ციფო
მაღლა ქედზედ გადმოსდგესა.
ქუდ-მოხდილი ბიჭი ციფო
ეხვეწება მაღალ ღმერთსა.
ამხანაგმა დაუძახა:
—რუსები გვამტვრევენ ყბებსა,
ლამის აქვე გაგვათაონ,
გულში გვცემენ კონდახებსა,
შენ რომ წახველ, ჩვენო ძმაო,
რას გვიპირებ ახლა ჩვენცა?!.
—გულადათ შემოიარეთ,
იქ შეგიკრავთ ხევის მთებსა;
თუ თქვენ მაგათ გაგაყოლოთ,
ბიჭი ციფო მოგიკვდესა!..
ციფო ქსანზედ წამოვიდა
შემოჰყვა მოკეთეებსა;
მეტად ძალზედ გაუხარდათ
ციფოს ნათლი-დედეებსა:
ზოგი ერბო-კვერცხს უკეთებს,
ზოგიც უხდის ახლად ქვერსა.
ამოიოხრა ციფომა,
გადმოჰღვრიდა ცხარე ცრემლსა...
—ჩემს გულში სხვა დარდი არი!
უთხრა მან ნათლიდედებსა.
—დღეს უნდა შავარდნად ვიქცე:
გადუხტე ბიდარას მთებსა,
სახემწიფო გზაზე შევდგე,
იქ უშველო იმ ჩემს ძმებსა!
სახემწიფო გზაზედ შესდგა,
იქ იკეთებს სამგლურებსა:
აკეთებს მაგარს სანგრებსა [4]),
იქ ამტვრევდა ის სალს კლდესა.
ქუდ-მოხდილმა დაიჩოქა,
ეხვეწება მაღალს ღმერთსა:
—ნეტამც არ დაიგვიანონ,
რომ მოვიდნენ ეხლავ დღესა!..
ამდენა ლაპარაკშია
სალდათებიც მიადგესა,
ამ ციფოს ამხანაგები
მოათრევენ ბორკილებსა,
უკან მოსდევენ რუსები
მხარში სცემენ ჯიგლიგებსა.
ბიჭებმა ციფო რომ ნახეს,
გულზედ ნათელი ეცესა;
ოსურად ლაპარაკობენ,
თვალი უყვეს ერთმანეთსა.
— ჩვენ ციფოსა დაუცადოთ,
ახვეწებენ მეუფესა.
— ამხანაგი არ მოგვიკლან,
ხომ ჰყურობთ თოფის ბინბებსა!..,
გადმოფრინდა ბიჭი ციფო,
შემოუტია რუსებსა:
თითოს თითო სილა სტყლიშა,
ფარაჯებს წაართმევსა.
თოფ-იარაღი აჰყარა,
ვინღა სჩივის სალდათებსა!
რკინის კეტი მიიტანა,
ქვაზედ ამტვრევს ბორკილებსა.
წავიდნენ და მოახსენეს
ავალოვის ივანესა [5]);
ავალოვი აღარ იყო,
იმის მოადგილე სთქვესა.
გაჰქცევიან ტუსაღები,
რას უშველით სალდათებსა?
დაუძახა მთიულებსა,
გუდით წამალს აჰკიდებსა:
— რომელიც ციფოს დაიჭერს,
მიგიწერამთ ხელმწიფესა,
იმას გაამდიდრებს,
მოუმზადებს სისხლის ჯვრებსა,
ვინც ყოჩაღობას იხმარებს,
ჯამაგირიც გაუჩნდესა!...
წამოვიდნენ მთიულები
შეუდგნენ კურკუწოს მთებსა;
ლომისასთან რომ ავიდნენ,
ბიბსა ჰნახვენ საკვირველსა:
ციფო ლომისასთანა ზის,
უნთებს წყვილ-წყვილ კელაპტრებსა!..
შეჰხიზვნია ლომისასა,
მთიულებმაც შეიტყესა;
ლომისასგან შეეშინდათ,
—ჩვენ რას უზამთ მაგის ტყვესა?!.
ეს იფიქრეს მთიულებმა,
—ჩვენც ვახვეწოთ მეუფესა.
ერთი ოქრო გადმოუგდო
ციფომ, მისცა მთიულებსა;
— ლომისას არ უღალატოთ,
ვაი დედი თქვენის ღმერთსა!..
წამოვიდნენ მთიულები,
ციფოს სადღეგრძელო სვესა:
—ვინც რომ ციფო დაიჭიროს,
იმის ცოდვით აიმსესა,
ციფოს მაგივრად პასუხი
მაღალმა ღმერთმა მისცესა!..

[1]) საეტლო—ბედი.

[2]) თული—ყაჩაღი.

[3]) მისაქციელი—სოფელია მცხეთის ზემოდ არაგვის პირად.

[4]) სანგრებსა—სამალავებსა.

[5]) ავალოვი მაშინ პოლიციის ბოქაული ყოფილა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აგვისტო

**შანხაი.** ინგლისის ხომალდები ჯარით ჩინეთის მთავრობამ იან-ცძესთან შეაჩერა, წინაწ განცხადებულ თანხმობის მიუხედავად. მოლაპარაკება აქვთ.

**რომი.** დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითურთ წავიდა გუშინ საღამოს ზემო იტალიაში, გამოემშვიდობა-რა მეფესა და დედოფალს.

**ექს-ლე-ბენი.** საბერძნეთის მეფე კოპენჰაგენში წავიდა.

**პეტერბურგი.** საზღვაო შტაბში ამბავია მიღებული, რომ ჩინელთა ნაღმიანი გემი დაუპყრია ჩვენს ნაღმიანს გემს, რომელსაც უფროსობდა თურმე ლეიტენანტი ეშაპპარი, პორტ-არტურსა და ტაკუს შუა.

**ჩიფუ.** რუსეთისა და ინგლისის ელჩები ერთ-ხმად აცხადებენ, რომ მხსნელი რაზმი უბრძოლველად მოვიდა დაახლოვებით ამპინამდე, რომელიც პეკინიდგან 50 კილომეტრის მანძილზედ მდებარეობს.

**კოპენჰაგენი.** დროებით აკრძალულ იქმნა თოფისა და საბრძოლველ მასალის გატანა ჩინეთში.

**გონკონგი.** ჩინელები კანტონს ამაგრებენ; ისინი დაბეჯითებით გაიძახიან, რომ თუ კანტონს ამერიკელთა სამხედრო გემი „მონტერეი“ მოუახლოვდა, ბოკას სიმაგრეებიდგან სროლას დავიწყებთო. კანტონის მცხოვრებელნი დიდად შეშფოთებულნი არიან ჩინელთა დიდ ძალ ჯარის ყოფნით ეცხო-ქვეყნელებით დასახლებულს შამიენს ახლოს; ჰშიშობენ, რომ უბრალო რამ მიზეზი სისხლის ღვრას გამოიწვევსო.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(დასასრული *)

ო

ოროატრიალი—ჩხუბი. ქართ.

ორშიანი—ორმაგი, ორპირად ნაქსოვი. ფშ.

ოქროს ქოჩრიანი—ვაჟი ან ქალი ზღაპრებში, რომელსაც ვითომ ოქროს თმა ჰქონდა.

*) იხ. „ივერია“, № 167.

ოქრო ყულა—ყვითელი ყელი. ფშ.

ოქრო მარწყვა—ყვითელი მარწყვი.

ოქრო შვინდა—ყვითელი შვინდი.

ოხერმახეტნი—ცუდად მოსიარულენი, მოხეტიალენი.

პ.

პირლნიოში—ენაჭარტალი, სიტყვა შეუნახველი.

პირკომლიანი—თოფზედ იტყვიან. ფშ.

ჟ.

ჟიჟო—ახლად თავ-ჩენილი ბალახი. ქარ.

რ.

რიალი—ზიანი, ნავნები. ფშ.

ს.

საბატავი—ბატილის დასაბატი ჭურჭელი. ქართ.

საგრეხელა—ხის ჯამბურა თითის ტარის სატრიალებელი. ფშ.

საკოტარი—მანქანა ცხენის უკანა ფეხებზედ გასაკეთებელი, რომ წიხლი აღარ გაიქნიოს. ფშ.

სალუდე—სახლი, სადაც ლუდს ადუღებენ.

სალუდე ქვაბი—რაშიაც ლუდს ხარშავენ. ერთი საჟენი სიმაღლე ექმნება, ძირი წოწოლა აქვს შაქრის თავსავით და პირი განიერი.

სასველე—ღვინოს რო ამოსწყავენ, მყიდველ რასაც მეტად დაუსხამენ, სათვალავს გარდა. ქარ.

სასუფთია—სეფისკვერი, ან ხატში მისატანი ქადა-პურები. ფშ.

საქმის დაცარვა—საქმის ხელიდგან წასვლა.

საცეხველა—თოხმახი. ქართ.

საცრე—ბაკი, საწველი. ფშ.

საწარბავი—დურგლების იარაღი. ფშ.

სახვიელა—წინდის სახვევი. ფშ.

საჯარე—ხატში ხალხის დასასხდომი ადგილი. ფშ.

სერობ-სალმურთობა—თავი და თავი დღეობები. ფშაველებისა, ლაშარ-ღელეობა.

სვე—ველი, რაც მომკლიბს მიაქვთ, ქარ.

სვილის ფერაი—შავგრემანი. ფშ.

სიგრიგელა — ორომტრიალი, ჩხუბი. ფშავ.

სკიაობა—ხტუნაობა კალიისა, ან ფეხმოტეხილი ფრინველისა. ფშ.

სულის დცყრა—ნიავის ალება.

ტ.

ტვლივი—ქარ. დიდი ხორციანი ძვალი.

უ.

უკლონი—შავეთში მყოფნი, გარდაცვალებულთა სულნი. ფშ.

უშტარი—ბრმა. ფშ.

უკუნეთი—სიბნელე. ფშ.

ფ.

ფაფანგი—ქალების გარედგან ჩასაცმელი ჩოხა, ფშ.

ფხასისხლიანი—ხმალზედ ითქმის. ფშ.

ფშრუკვა—ცომის ასვრემა, ან ნაცრის აზელა.

ქ.

ქავციხე—ციხე-გალავანი. ფშ.

ქარაქუცა—ჭკუა მსუბუქი კაცი. ქარ.

ქერის ხატორი—ჯინჯილა ქერისა. ფშ.

ქოლვილი—ჩასაქოლი, (წყევლა), ანმწუხარე.

ქორა—თეთრი ხარი. ფშ.

ყ.

ყელის კავნი—სასულე გარედგან. ფშ.

ყელფარღელა—დათვზედ ითქმის, ყელთეთრი რო იქმება. ფშ.

ყრანტი—ყაყრანტო. ფშ.

„ივერიაში“ რამდენიმე შეცდომა იყო კარექტურული, მაგალითად ეწერა: ერანი—უნდა იყოს ე რ ა წ ი. პენი—უნდა იყოს პ ე წ ი. ქორასოკოზს შესახებ რკოაო, რკო კი არა, სოკოა.

თ. რაზიკაშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

ურბნისის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის მონდობილობით გულითადს მადლობას ვუძღვნი ქ-ნ მარიამ თადეოზის ასულს დათოშვილისას, რომელმაც ურბნისის ტაძრის განახლების საქმეს შემოსწირა თხუთმეტი მანეთი.

წევრი კომიტეტისა მღვდელი სვით გამრეკელი

# განცხადებანი


ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან:

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკანსია (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 10 ვაკან. (8 და 9 წლ. ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 60 ვაკანსიიდგან 56 არის დანიშნული გარედგან მოსიარულეებისათვის, ორი საზოგადოების სრულ ხარჯზე და ორიც ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულედ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი დაშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანისობ შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველს ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი—შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-დის.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ, въ д. Селикова.

10) აგვისტოს, 26 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ს მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქმნებიან მიღებულნი აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1900—1901 წლის სასწავლო ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს როგორც ფულის თავის დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.



## ქუთაისის ჭაჭვ-ცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—29)



## Отъ конторы газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Изданіе газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ будетъ возобновлено

**СЪ 18-ГО АВГУСТА НАСТОЯЩАГО ГОДА.**

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшіяся за конторой деньги, будутъ получать газету БЕЗЪ ДОПЛАТЫ съ 18 го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г, доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 к. Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18 го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Об.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**Для пріема подписки и объявленій контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ, отъ 6 до 7 час. вечера.**


# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივლისისათვის 1900 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | | 19750 | 76 |
| . მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . | | 100 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | | 124 | 54 |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 2076—26 | | |
| ბ) არა უზრუნველ-ყოფილნი: | 3999—95 | 6076 | 21 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . | | 3121 | 38 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . . . . | | 250363 | 48 |
| VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ | | 778 | 09 |
| VIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | | 865 | — |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . | 11704—20 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ. ქაღალ. | 41266— | | |
| გ) საქონელზედ . . . . . . | 9177—— | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 2016—25 | 64163 | 45 |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | | 136 | 11 |
| XI. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | | 2034 | 48 |
| XII. კორესპონდენტები: | | | |
| ა) მათის ანგარიშით (loro) . . | 15795—04 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro). . | 3000—— | 18795 | 04 |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | | 130 | 06 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | | 272 | 53 |
| XV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | | 129 | 58 |
| XVI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | | 6661 | 85 |
| ს უ ლ | | 373502 | 56 |

**პ ა ს ს ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 790 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | | 82056 | — |
| II. სათადარიგო თანხა . . . . . . . . . | | 3917 | 29 |
| III. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . | 104763—27 | — | — |
| ბ) ვადით . . . . . . . . | 117927—— | — | — |
| გ) უვადოდ, . . . . . . . | 1720—— | 224410 | 27 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | | 2502 | 09 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | | 1907 | 34 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . . . | | 262 | 72 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად. | | 300 | — |
| VIII. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) . . | 3000—— | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro). . | 4281—35 | 7281 | 35 |
| IX. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . . . . | | 16200 | — |
| X. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში . . . | | 20001 | 38 |
| XI. წაუღებელი დივიდენდი: | | | |
| ა) 1898 წლისა . . . . . . . | 1116—27 | | |
| ბ) 1899 წლისა . . . . . . . | 2895-05 | 4011 | 32 |
| XII. მიღებული სარგებელი . . . . . . . . | | 10178 | 82 |
| XIII. 1900 წლ. მოგებისა და ზარალის ანგარიში . | | 473 | 98 |
| ს უ ლ | | 373502 | 56 |
| პასუხის-მგებლობა 790 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდ. . . . . . . . . . . . . | | 738504 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | | 7100 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . . . | | 1127 | 40. |

(1—6.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე